№ 93

ოთხშაბათი, 5 მაისი, 1899 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 93

ოთხშაბათი, 5 შაისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ღირება **7** მან. **25** კაპ.

სამსონ დავითის ძე ლონლაძე, ქმარი გარდაცვალებულის

## ეკატერინე იოსების ასულისა,

უმორჩილესად სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ პანაშვიდზედ, საღამოს 7 საათზედ, 5 და 6 მაისს. ლაბარატორის სლობოდაში, № 72. გარდაცვალებულს გაასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში პარასკევს, 7 მაისს, დილის 9 საათზედ. (2—ნ.—1).

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“.

დანიშნულია მაისის **16** და **17**-ს კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში.

შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, **№ 21**.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი:

## სომეხთა მეცნიერნი და ჩვათა ღაღადი

წერილი ილია ჭავჭავაძისა

„ივერიის“ რედაქციის გამოცემა.

**ფასი ერთი აბაზი**

ვისაც ქალაქ გარედ ჰსურს დაიბაროს ეს წიგნი, ზემოხ ენებულს წიგნის მაღაზიას უნდა მიჰმართოს.

„ივერიის“ მე 90, 91 და 92 №№-ში, შეპარულა შეცდომა, სახელდობრ: გამოცხადებულია რა მაჩაბარიანის რომანოზ დავითის ძის სოფლის მამული, არ არის მოხსენებული „შემოსატანი გარდასახადი 1365 მან. 20 კაპ., განაწილებული სამ ნახევარ-წლად“. (3—ნ.—2)

**„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“** გამგე კომიტეტი აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ **წლიური საზოგადო კრება წევრთა** დანიშნულია ამ წლის 30 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველია:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მსახურთათვის საპენსიო კასის წესდების შესახებ.

4) მოხსენება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის სადგურის აშენების შესახებ.

და 5) სხვა-და-სხვა თხოვნა და წვრილმანი საგნები. (5—უ.—2)

**სარევიზიო კომისია ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა** მოიწვევს წევრთ ამა ამხანაგობისას საგანგებო კრებაზედ, 9 მაისს, 1899 წელსა, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში, განსახილველად და დასამტკიცებლად ამხანაგობის 1898 წ. წლიურის ანგარიშისა და სხვა საგნებისა, რომლების განხილვაც ჩვეულებრივმა კრებამ, შემდგარმა 21 აპრილს, ვერ მოასწრო, კრების თავმჯდომარის წყალობით. (5—ნ.—2)

## „შუამავალი“

ამხანაგობის მაღაზია გადავიდა უკვე თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის სკვერის წინ. (3—ნ.—2)

ართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება ი. მაჩაბარიანის თარგმანები: გლეხი-კაცის ისტორია, **ერკმან-შატრიანისა:**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება . . | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . | 75 „ |
| ნაწლი II სამშობლოს განსაცდელი . . . . | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი . . . . | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. | |
| პოლ-ერვიესი . . . . | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. | |
| ჯიაკომეტისა . . . . . | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება (6—უ—6)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტ-სევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1 $1/2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გუჩკო.** 1 $1/4$—2 $1/4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** 6 $1/2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

### მთავრობის განკარგულებანი.

გადაყვანილ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: ნატანების ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა საყვარელიძე — ნახიჩევანის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში და ყაზბეგის ფოსტა ტელეგრაფის ზედამხედველი ივანე მაჭავარიანი—თელავის ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში.

### შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შეეწირეს.

ხანა ხიზანიშვილის ასულმა გერაჩამ —ერთი ხელოვნურად ნაკეთი ხურჯინი და ყვავილის კაბა.

ქეთევან არსენიშვილისამ—ორი დიდი ფაიფურის ვაზა.

კნ. მარიამ იოსების ასულმა ამილახვარისამ—ორი ძვირფასი ბროლის ვაზა.

**ტფილისის სათავად აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის** მმართველობა ამითი აცხადებს, რომ სხვა-და-სხვათა მამულების საჯაროდ გაყიდვის შესახებ განცხადებებში, რომელიც დაბეჭდილი იყო ამა წლის

## ფელეტონი

### ბებია ხვარამზე

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

IV

სამიოდე თვის განმავლობაში ნადიამბეგარმა დონჟუანმა თავის სული და გული თარის სიმებივით შეუწყო ხვარამზეს სულსა და გულს. ისე შეიჩვია და დაიახლოვა ხვარამზე გველისაც ხვრელიდგან გამომყვან თავის ტკბილ-მოუბარის ენით და ამას თანავე ისე საოცრად ახებივებდა ალერსიანის სიყვარულით და ისე ოდიდოულად აცხოვებდა, რომ ხვარამზე კმაყოფილი იყო თავის ბედისა, მხოლოდ ელა სტანჯავდა: მისი ძმა გიგია ისევ სატუსაღოში იჯდა და მისი საქმე ჯერაც არ გაერჩია სასამართლოს.

წლის შემდეგ გიგიას ოლქის სასამართლომაც თორმეტის წლით კატორგა მიუსაჯა და გაამგზავრეს ციმბირისაკენ. როცა გიგიას წელ-მოწყვეტილმა და გულ-მოკლულმა მოხუცმა მამამ საბრალოდ, ცრემლთა დენით შესტირა ნადიამბეგარს: „კნიაზო, აკი შპირდებოდი დავიხსნი გიგიასაო“, მათმა ბრწყინვალებამ ასეთი პასუხი მისცა:

— მაინც ჩემი მადლობელი იყავ, აბრამ-ბეგო, ჩემი, თორემ შენს შვილს უეჭველად დაახრჩობდნენ ზაკონით, ან სამუდამოდ დაჰკარგავდნენ ციმბირში, მით უფრო, რომ ლოლო პეტრუზოვის მდიდარ ნათესავეს ერთი ისეთი დიდი, ბრწყინვალე ქვა-გოხების პატრონი „ადვაკატი“ დაეჭირნათ, რომ ის „ადვაკატი“ თითონ ჯოჯოხეთის ქაჯ-ეშმაკების ანტიქრისტესაც კისერს მოატეხინებდა ოსტატურს ლაპარაკში და ყოვლის გულთა-მხილავს ღმერთსაც კი დააჯერებინებდა დაუჯერებელს. დიახ, ჩემი მადლობელი უნდა იყვნეთ, რომ არც დაახრჩეს, არც სამუდამოდ დაჰკარგეს და თორმეტის წლის შემდეგ გიგია ისევ დაგიბრუნდებაო,—ასე ანუგეშა გიგიას საცოდავად გულ-ატირებული მამა-მოხუცი ნადიამბეგარმა, რომელსაც გიგიას შესახებ არც „ზაკონის“ წიგნებში ჩაუხედნია და არც მოსამართლენი უნახავს, რადგანაც იცოდა: გიგიას ვერ გამოიხსნიდა იგი და მხოლოდ ხვარამზეს ხელში ჩასაგდებად ლაპარაკობდა ტყუილ-სიცრუეს. ღვთის წინაშე რომ ვთქვათ და სული არ დავწვათ, ერთად-ერთი შემწეობა ნადიამბეგარის მხრივ ეს იყო: თავის ფულით დაუჭირა გიგიას დასაცველად ერთი ვიღაც გოგოლის „ნაჩიხოვნიკარი“, რომელმაც გიგიას საქმე უფრო დაცერა და წაახდინა თავის სიოეგვხით, იურისპრუდენციის უვიცობით და ლოთობისაგან დაჩლუნგებულის გონება-ენით: ისე უაზროდ და ახე-ბახედ ლაპარაკობდა სამსჯავროში, რომ მთლად არცხვენდა როგორც საადვოკატო ხელოვნებას ენამზეობისას, ისეც ქიზიყის უბატონო-თავისუფალ და ენა-მდიდარ ხალხის განთქმულს მეტყველებას.

ექვსი წელიწადი იცხოვრა ხვარამზემ ნადიამბეგარს რეზიკოსთან ერთგულად და ნამუსიანად; ამ ხნის განმავლობაში წყვილი მარგალიტივით ქალ-ვაჟი ეყოლა და ორნივ ერთს თვეში დაეხოცა ყვავილისაგან, რის გამოც ხვარამზეს ტირილს, გლოვასა და მწუხარებას საზღვარი აღარა ჰქონდა, და ბოლოს უფრო დიდი უბედურება დაატყდა თავზედ თავის დასაღუპავად: ერთს დღეს ისე უცბად გარდაიცვალა კარგა მყოფი ნადიამბეგარი წვეთის დაცემით, რომ ორსიტყვიანი ანდერძის თქმაც ვერ მოასწრო. ნადიამბეგარის ჯვარ-მენდლებ-ორდენებით მორთული კუბო ჯერ ისევ სახლში იდგა და მიწისათვის არ მიებარებინათ, რომ მისმა ქმრიანმა ქალებმა, როგორც თითონ ეძახდნენ: „საზიზღარი გლეხუჯანა“ ხვარამზე ცემა-ტყეპით გამოაგდეს სახლიდამ და ერთი თითზე გადახვევაც კი არა მისცეს-რა, თუმცა ხვარამზე ფეხ-მძიმეთ იყო და ხაბიჭკარსაც ალზრდა უნდოდა.

დაბრუნდა თავისის მამის ბინაზედ ქვეყნის უსამართლობით გულ-მოკლული ხვარამზე, რომელსაც გიგიას ჯავრით ნავაგლახევი, ღრმად მოხუცი დედ-მამა უკვე დახოცილი ჰხვდა. ავის მოვალეებისა და ქირო-ქელეხებისაგან მთლად გამოფხეკილ ქოხში გიგიას ცოლი თებრო და სცხოვრობდა თავის პატარა შვილებით, რომელთაც რის ვაი-ვაგლახით და სილატაკის ჰპანწყვეტით აცხოვრებდა სხვებთან საღელაკაცო საქმეში მუშაობით, რისგამაც მუდამ დოხეთქილ-დაბებრებულ-დაკოჟრებული

*) იხ. „ივერია“ № 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ივანეს ძე მირზოევმა—ერთი თუმანი.

# ახალი ამბავი

*** როგორც ვუწყით, საქართველოს ეგზარხოსმა მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, მთავარ-ეპისკოპოსმა ფლაბიანემ, სხვათა შორის, ქალაქის მოურავსაც მიჰმართა, გაუგზავნა მოწოდებანი და სთხოვა შეწირულებათა შეკრება მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის განსაახლებლად დანიშნულ თანხის სასარგებლოდ და სამალად. ტფილისის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა გ. გ. ევანგულოვმა მრავალთ მიჰმართა თავისს მხრივ. წარუგზავნა მოწოდებანი და სთხოვა ქველ-მოქმედთ ამ საქმისათვის დახმარება აღმოეჩინათ. აი რასა სწერს ქალაქისმ ოურავი მთავისს მისამართს წერილში:

„მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა, საქართველოს ეგზარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა ფლაბიანემ პატივი მცა და ამა წლის 19 მარტს მე-1017 №-რით წერილი წარმომიგზავნა, რომლითაც მთხოვს ხელი წარუმართო მცხეთის თორმეტთა მოციქულთა საკრებულო ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის მოწოდებათა გავრცელებას.

„ის ეკლესია, რომლის ადგილზედაც მე-XV საუკუნიდგან სდგას დიდებული ტაძარი მცხეთისა, აღგებულია მე-IV საუკუნეში, ე. ი. იმ დროს, როდესად პირველად დაიწყეს ჩვენს ქვეყანაში შენება ღვთის ტაძართა, ამა კავკასიის ძველთა ერთა ქრისტიანობრივ ცივილიზაციის ცოცხალთა სახსოვართა. ამ სახსოვართა დაცვა და შენახვა სადმრთო მოვალეობაა ყოვლის ქრისტიანისა სარწმუნოების განურჩევლად. ძველთა დროთაგან კავკასიის ეკლესიათა და მონასტერთათვის ჰზრუნავდნენ ერნი და მეფენი, საუკეთესონი მათგანნი ამ ეკლესიათა და მონასტრებს სწირავდნენ მდიდარ მამულებსა და უხრწნელ განძეულობას, რომელთა ნაშთთ ჩვენამდე მოაღწიეს და განცვიფრებაში მოვყავართ თავისის სიმკირფასითა და ხელოვნებით. ზოგიერთს მონასტრებს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ჩვენის ქვეყნის ცხოვრებაში: იგინი იყვნენ გამავრცელებელნი სწავლა-განათლებისა და მეცნიერებისა; იქიდგან გამოდიოდნენ საქართველოს და სომხეთის საერო და სასულიერო მოღვაწენი, მათთა ზღუდეთა შორის, დროსა აოხრებისასა და აღრეულობისასა, ემალებოდნენ მეფენი და დიდებულნი თავშესაფარსა და სულის ცხოვნებასა *). კავკასიაში ძველთა სიწმიდეთ ერთგვარად თაყვანსა სცემენ ყველა ქრისტიანენი, ვითარცა ძმანი ქრისტეს მიერ, მისთა აღთქმათაებრ.

„მგონია რა, რომ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი, არა დაიზარებთ შეძლებისამებრ მონაწილეობის მიღებასა, რათა განახლებულ იქმნას ეს ძველის-ძველი, ყველა ჩვენთაგან თაყვან-ცემული მცხეთის ტაძარი, რომელიც ქართველ ერის კეთილშობილ სიამაყის საგანს შეადგენს, და თანაგრძნობით მიეგებებით მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის მწყემსთ-მთავრულს მოწოდებას, მე თავს ნებას ვაძლევ გაცნობოთ ყოვლივე ესე ზემო-თქმული; თან უმორჩილესადა გთხოვთ თქვენი წვლილი მე წარმომიგზავნოთ და მე წარვუდგენ მას თქვენის სახელით მთავარ-ეპისკოპოსს ფლაბიანეს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს თავმჯდომარეს მცხეთის თორმეტთა მოციქულთა საკრებულო ტაძრის განმაახლებელ კომიტეტისას".

*** 3 მაისს ტფილისის ქალაქის საბჭომ დაამთავრა განხილვა 1899 წლის ქალაქის შემოსავლის ანგარიშისა. ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ გასავლის ანგარიში საფინანსო კამისიას აქვს გადაცემული განსახილველად და როცა დაგვიბრუნებს, დაუყოვნებლივ წარმოვუდგენთ საბჭოსო. შემდეგ საბჭო შეუდგა გამგეობის მოხსენების განხილვას იმის შესახებ, რომ ტფილისში ყველა მცხოვრებზედ, სქესის განურჩევლად, დაწესდეს გადასახადი საქალაქო საავადმყოფოს შესანახად; ასე რომ ტფილისში მცხოვრებს, ვინც უნდა იყვეს, ავადმყოფობის დროს, თუ-კი მოისურვებს, უფასოდ შეეძლოს საავადმყოფოში წოლა საექიმოდ.

საბჭომ, ხანგრძლივ კამათის შემდეგ, დიდძალი ხმის უმეტესობით შეიწყნარა ეს მოხსენება და დაადგინა,—თითოეულ მცხოვრებს გარდაახდევინოს წელიწადში რვა აბაზი, ხოლო საავადმყოფოში უნდა იყვეს 400 ლოგინზედ არა ნაკლები.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა წარუდგინა კავკასიის უმაღლესს მთავრობას ქუთაისის მაზრის სოფ. დიდ-ჯიხაიშის მცხოვრებთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება დართონ ამ სოფელში დაარსებულ იქმნას სამარხი კასსა.

*** ბაქოდგან „ახ. მიმ."-ს სწერენ გენერალ-მაიორის ლისენკოს მკვლელობის შესახებ, რომ ეს მკვლელობა შეცდომით მოხდაო. საქმე ასე ყოფილა. ერთი ახალგაზდა თათრის ქალი თავისის ძმების უნებურად გათხოვილა ამას წინად. ძმებს ძალიანა სწყენიათ ეს და გადაუწყვეტიათ როგორც დის, აგრეთვე იმის ქმრის მოკვლა. იმ დროს, როდესაც ქმარს ცოლი ყუბაში ჰყოლია დამალული, ვიღაცას უცნობებია ძმებისათვის, რომ ამ საღამოთი ცოლ-ქმარნი ყუბიდგან სხვაგან მიდიანო. ძმები იგდიტის ბაღებში დამალულან და როდესაც დაუნახავთ მგზავრები, ჰგონებიათ ისინი არიანო და თოფი დაუშენიათ; შემდეგ, როდესაც რუსული ლაპარაკი გაუგონიათ, საშინლად გაკვირვებულან. მკვლელები დაპატიმრეს.

*** ქუთაისიდგან სწერენ „კავ."-ს: 1 მაისს ექიმის თოფურიას სამკურნალომ იდღესასწაულა მეცხრე წელიწადი არსებობისა. ამ საუკეთესო სამკურნალო დაწესებულებას, დაარსებულს ექიმ თოფურიას მხნეობითა და მეცადინეობით, ხალხის სიყვარული აქვს მოპოებული, რაც აშკარაა იმ სიტყვებიდგან, რომელიც წარმოთქმულ იქმნა დღესასწაულის დროს ქალაქის წარმომადგენელთა მიერ და სხვათაგან. სხვათა შორის ის აზრიც წარმოსთქვეს, რომ სასურველია ქუთაისში დაარსებულ იქმნას სანატორია იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც თბილ ჰავას ჰსაჭიროებენ. ერთის ორატორის სიტყვით, ქუთაისი საუკეთესო ადგილია ასეთის სანატორიისათვის და ბევრს ავადმყოფსაც მიიზიდავსო.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისში აზრადა აქვთ დააარსონ საგლეხო საადგილ-მამულო ბანკი. როგორც „ტფ. ფურ."-ი იუწყება, ამ საქმის შემუშავება მინდობილი აქვს მთავარ-მართებლის საბჭოს წევრს სულთან-კრიმ-გირეის.

*** გაზეთი „Рус. Вѣд."-ი სწერს: „სასულიერო უწყებამ განკარგულება მოახდინა, რომ იმ სოფლებში, სადაც მხოლოდ არა რუსნი სცხოვრობენ, ღვთის მსახურება ადგილობრივ მცხოვრებთა ენაზედ უნდა სრულდებოდეს, იმ სოფლებში, სადაც ორი სხვა-და-სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს,—ორს ენაზედ, ხოლო სადაც სამი—სამს ენაზედ. ამასთან, რათა ხალხს შეეძლოს გაიცნოს რუსული მართლ-მადიდებლობითი ღვთის მსახურება, თვეში ერთხელ სლავიანურ ენაზედაც უნდა შესრულდეს ხოლმე წირვა-ლოცვა.

*** ს. კულაში, (ქუთაისის მაზრა). 26 აპრილს აქ მოხდა გულის შემზარავი შემთხვევა: ეწერის სკოლის მასწავლებელმა მ. ვ. შენგელიამ რევოლვერით უცაბედად სასიკვდილოდ დასჭრა თავისის ძმის ცოლის ძმა, ერთად ერთი ვაჟი ქვრივის დედისა, ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლე ნუცუბიძე. მაშინვე ექიმი მოიყვანეს, რომლის რჩევითაც დაჭრილი ქუთაისში წაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა მესამე დღეს. გამოძიება სწარმოებს.

აქეთ მეტის-მეტი გვალვაა და ბევრი ადგილები დარჩა წრეულს დაუთესავი.

*** ს. ეწერი, (ქუთ. მ.). აქ გახშირებულია ყელ-ჭირვება, რომელმაც სამი ბავშვი უკვე იმსხვერპლა. გვალვისაგან მუშაობა დაქვეითებულია და ახალ ნაშენი ბაღები გაჭირვებულია. თუთის ხის (ჟოლის) ფოთოლი ერთობ გაძვირდა, რადგან ყველა მოსახლესა ჰყავს აბრეშუმის ჭია.

*** ს. სკინდორი, (შორაპნის მაზრა) მღვდლის მ. ი. წერეთლის მეცადინეობით და ბ-ნ პოლიციის ბოქაულის განკარგულებით, ამ სოფლიდგან ს. ცხრუკვეთამდე რიგიანი გზა უნდა გაყვანილიყო და მდ. საზალიხევზე ხიდი უნდა გაკეთებულიყო. ამ გარდაწყვეტილებას დიდის აღტაცებით მიეგებენ აქაური მცხოვრებლები, წოდების განურჩევლად, და ყველამ დახმარება აღუთქვა ამ მართლაც ყველასათვის საჭირო საქმეს. ერთის სიტყვით, საქმე გაჩარხულია, გვეგონა, მაგრამ ნუ იტყვით, თურმე ყველაფერი გზისა და მუშების თავმდგმურს შესძლებია, რომელსაც გლეხები „ნაძრატელს" ეძახიან. ეს „ნაძრატელი" ერთობ უთანაგრძნობო გამოდგა ხსენებულ გზის გაკეთებისა, და შევყურებთ, როდის გადმოგვხედავს მოწყალე თვალით და როდის შეუდგება გულმოდგინედ გზის კეთებას.

*** როგორც „კავკ." იუწყება, მეურნეობის დეპარტამენტს გამოუგზავნია მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულისათვის 10 გირვანქა ერთგვარი კაკალი კავკასიაში დასათესად და იმის გასაგებად, იხარებს თუ არა აქ. ეს კაკალი თერგის ოლქში ხარობს. შესანიშნავი ეს კაკალი იმითია, რომ ნაყოფს დარგვის მეორე წელიწადსვე იძლევა.

*** 1 მაისს გრიბოედოვის ქუჩაზედ. ოსკანოვის დუქანში ვ. პეტრუხინსა და გორის მაზრის მცხოვრებს პ. ბოგოვაშვილს ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც ბოგოვაშვილმა ორს ადგილას ხანჯლით დასჭრა პეტრუხინი.

*** 2 მაისს თავ. ნიკ. ჩოლოყაშვილმა განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემმა მოსამსახურეებმა ა. ერისთავმა და ივანე კოჩიშვილმა გამქურდესო; პირველმა მოიპარა ყუთიდგან 24 მანეთი, ხოლო მეორემ ვერცხლის ხანჯალი, რევოლვერი და ქუდი, სულ 31 მანეთისაო.

*** 2 მაისს ტფილისის მცხოვრებმა ე. ბედელაძემ განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემ შინ არ ყოფნის დროს ქუთაისის გუბერნიის გლეხმა ა. შურგაიამ მომპარა 15 მანეთი და სოფელში წავიდაო.

*** 19 აპრილს, როგორც „ახ. მიმ."-ს სწერენ, სოფ. პატარძეულის მახლობლად „დეძურ-დაღში" მეჯოგეებისთვის ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ თოფები დაუშენიათ. საბედნიეროდ ტყვია არავის მოჰხვედრია, მხოლოდ ერთი ცხვარი მოუკლავთ. ასეთივე ამბავი მომხდარა 20 აპრილს მარტყოფში, სუკავის მახლობლად.

*** 16 აპრილს, ღამე, გორის მაზრის სოფ. კარბში ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ გამოუნგრევიათ ბაგ. ქაიხ. დავიდოვის ქვრივის სახლი და სარდაფში შესულან. წაუღიათ იქიდგან 20 ცალი ლორი, 3 ღვინით სავსე ტიკი, 5 ტომარა და 10 კოდი პური.

*) კავკასიის არხეოლოგიის მოყვარეთა საზოგადოების წერილები. დ. ბაქრაძისა, 1875 წ., წიგნის, გვ. 19—20.

---

ჰქონდა ხელები და არა ჰგავნდა ხვარამზეს უმუშავარს და აზიზ-მაზიზად შენახულს, თეთრ-შუქიან ხელებს.

რამდენისამე თვის შემდეგ ხვარამზეს ვაჟიშვილი ეყოლა, რომელსაც ქრისტესია უწოდა სახელად. ხვარამზეს მთელი სოფელი „ხასად-ნაგდებს, უნამუსოს" ეძახდა, რის გამოც ყველანი ერიდებოდნენ, რაღაც ზიზღით უყურებდნენ და ნაქვრივალიც არავინ ირთავდა ცოლად, თუმცა სიღატაკით გაჭირვებულს ხვარამზეს გუნებაში ძალიან ეწადა გათხოვილიყო და მალე შემნახველი პატრონი ეშოვნა, რადგანაც ნადიამბეგართან ნებივრად და ფუფუნებით ნანახი ხვარამზე გარჯა-შრომასაც ჩვეული არ იყო, რომ სხვასთან მუშაობით მაინც ერჩინა თავი. კიდევ ხვარამზეს ბედი, რომ ზაფხული შეესწრო და ხშირად ქინქრით, ბალბით, მხალით, ხაჭიჭორით, არჯაკელით, კატკატოთი, ბოლოკათი და სხვა ბალახისაგან საჭმელად მიღებულის ბალახ ბულახებით და მჭადით იკვებებოდა თავის ძმის ცოლისაგან სამადლოდ.

ხვარამზესთან თითქმის ყოველ დღე დაიარებოდა ერთი კუდ-ბაწარა დედაბერი, რომელიც გამოუძახებდა ხოლმე კოხის ხრიხალთან და სულ ამას ეჩიჩინებოდა უჩუმრა:

— ჰკვას ნუ ჰკარგავ შვილო, ხვარამზე, ქვეყანა ათასი კაცის ნათრევ უნამუსოს გეძახის, შენ არავინ შეგირთავს, ნუ ჰკვდები ემაგრე შიმშილით მაწოვარი. ზამთარშიაც ხო ბალბა და ქინქარი არ გექნება, შენი ძმის ცოლსაც სული კბილით უჭირავს და ვინ შეგინახავს? დაუჯერე ჩემ გიჟ ჰკუას ხვარამზე და ათასში ერთხელ ახადილე შენთან ბაზაზი გევლო. ხო იცი, გევლო ლამაზი უცოლშვილო, ახლად წვერ ულვაშ ამწვანებული ბიჭია, ძალიან მოჰსწონხარ, იმას ჯერ მამის მოგებული სიმდიდრის გაფრთხილების ყადრი არა აქვს, ფულს პანტასავით დაგაყრის თავზე და სხვა რა გინდა: დაჯექ და აკანტურე თავვივით, მზად მომკილი და გალეწილი!

— თავი დამანებე, ადამიანო, რა გინდა ჩემგან, რა ჩრჩილივით შამიჯექ და მოსვენებას აღარ მაძლევ დღე და ღამ. წყალში აფშრუკულ ნაცარსა ვჭამ და ემაგეთი უნამუსობით ცხოვრება ღმერთმა მაშოროს!— ასეთი სიტყვებით ისტუმრებდა ხვარამზე შაოსან დედაბერს და ხშირად ჰლანძღავდა კიდეც გულ-გაბრაზებული, მაგრამ მაინც არ ეხსნებოდა ქალ-მანდილოსანთა შეცდენის ოსტატობაში გამოქნილი დედაბერი იმ შეუპოვარ სიკვდილივით, რომელსაც აღარავისი და აღარაფრისა არ ეშინიან!..

ხვარამზე, როგორც დიდად ლამაზი ქალი, ბაზაზ გევლოს გარდა, ბევრს სხვებსაც უნდოდათ ეგდოთ ხელში, მაგრამ ვერას გახდნენ, და ბოლოს მაზრის მმართველობის ერთმა სოფლის-სოფლად მავალმა „ჩინოვნიკმა" იუდაშვილმა გაიმარჯვა: მოაყვანინა გზირებს ერთს საღამოს ხვარამზე სოფლის კანცელარიის მეორე ოთახში, რომელიც „ჩინოვნიკისათვის" იყო მომზადებული, და თვალების ბრიალით და ფეხების ბრახუნით დაუწყო მრისხანედ ყვირილი:

— შენ, ქალბატონო! იცოდე, ციმბირი არ აგცდება, გესმის თუ არა? —ციმბირი! კატორგა!... ამ დღეებში გავარდნილი ქორისა ყაჩაღი რომ დავიჭირეთ, იმან მითხრა:—შენ იმის საყვარელი ყოფილხარ და ნაძარცვი ოქრო-ვერცხლის ნივთები შენთან უზიდნია; გამოტყდი ამ საათში, თორემ ამ მათრახით ტყავს გაგაძრობ!..

ასეთ მოულოდნელის ცილის ელდა-შიშით ხვარამზეს ენა დაება, გული ამოუჯდა და ცრემლების ფრქვევით ძლივსღა წამოილუღლუღა, რომ „ყაჩაღი ქორისა ჩემ სიცოცხლეში თვალითაც არ დამინახავო". მაგრამ ჩინოვნიკი იუდაშვილი უფრო გაცხარდა განგებ: „როგორ ჰბედავ ჩემს წინ მაგისთანა ტყუილებს, შე ლეჩაქ-მოხდილო უნამუსოო", და ეს იყო კიდეც წინადვე გაძრახებული მამასახლისი, ჩაფარი და გზირები გარეთ გავიდნენ ბრიყულის ღრეჭით და უწმაწურის მასხრობა-ოხუნჯობით... მეორე დღეს მთელი სოფელი ლაპარაკობდა, რომ „უნამუსო ხვარამზე წუხელ ჩინოვნიკს მიუადნია და მთელი ღამე იმასთან გდებულაო".

რადგანაც ხვარამზეს განგებ ასეთი ცილი დასწამა და ძალით გააუპატიურა „ჩინოვნიკმა" იუდაშვილმა, რადგანაც ეს მთელმა სოფელმაც გაიგო უკულმა და ამის შემდეგ უფრო აღარავინ შაირთავდა იმას, რადგანაც სილატაკე-შიმშილმაც სიკვდილის პირამდის მიიყვანა პატარა ბალღის დედა-მაწოვარი და შველა აღარსაით იყო, ეხლა კი მის დედაკაცურ სირცხვილს ძთლად აემალა ნაწიბური და მიჰყო ხელი ხვარამზემ დაფარულს უნამუსობას ლუკმა-პურის გულისათვის...

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ქურდობის 11 დღის შემდეგ, იმავე ქვრივის დავიდოვის წისქვილში ბოროტ-გამზრახველთ გაუფუჭებიათ წისქვილის ორი თვალი, 60 მანეთად ღირებული.

## საქართველოს ეგზარხოსის მიბრძანება ახალ-სენაკში.

(წერილი ახალ-სენაკიდგან)

1 მაისს, დილის რვა საათზედ, ფოთიდგან ახალსენაკს მობრძანდა მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე. მისს მეუფებას თან ახლდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. რკინის გზის სადგურზედ მისს მეუფებას მიეგება მთელის ახალ სენაკის ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა, ვაჭრები და ახლო მახლო სოფლის მცხოვრებლები. დაბის წარმომადგენლებმა მისს მეუფებას მ. ვასკოვსკის ხელით პურ-მარილი მიართვეს. მისმა მეუფებამ მადლობა გარდაუხადა და იქ მდგომი ხალხი დალოცა. აქედგან ეგზარხოსი პირდაპირ ეკკლესიაში წაბრძანდა, სადაც დაუხვდა ადგილობრივი ბლაღოჩინი მღვდელი არისტარ. კალანდარიშვილი. მცირე ლიტიის გარდახდის შემდეგ ეგზარხოსი ალექსანდრე ეპისკოპოსითურთ მიბრძანდა პოლკოვნიკის თავ. ფარნაოზ მხეიძის სასახლეში, სადაც მიირთვა ჩაი. აქედგან წაბრძანდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში; მოსწავლეებს რამდენიმე კითხვა მისცა. ყველა კლასი დაიარა, დალოცა მოსწავლეები და დიდად კმაყოფილი გამობრძანდა. მისი მეუფება სასწავლებლიდგან წაბრძანდა ნორმალურ სკოლაში და სამრევლო საეკკლესიო და სამინისტრო საქალებო სკოლებში. აქაც რამდენიმე კითხვა მისცა მოსწავლე ქალებს. მისმა მეუფებამ თითქმის ირგვლივ შემოუარა დაბასა და დაათვალიერა ადგილ-მდებარეობა დაბისა. თავისის თვალით ინახულა მაზრის ექიმის გ. კახიანის და აწ უკვე გარდაცვლილის ი. ჯიჯიხიას შენობა, რომლის ყიდვაც უნდა სამღვდელოებას სასწავლებლის მოსათავსებლად, თუ ვინიცობაა საკუთარი შენობა ვერ ააშენა იმ გეგმაზედ, რომელიც უწმიდესის სინოდისაგანაა გამოგზავნილი. თორმეტ საათზედ თავ. ფარ.ნ. მხეიძის სასახლეში მიბრძანდა, საიდგანაც, საუზმის მირთმევის შემდეგ, გაემგზავრა თავისის ამალით ს. მარტვილს. ყოველგან ხალხი აღტაცებით ეგებებოდა და მათი მეუფებაც ყველას ჰლოცავდა.

კვირას, 2 მაისს, ნაშუადღევს მისი მეუფება თავისის ამალით ს. მარტვილიდგან ახალ-სენაკს დაბრუნდა. აქედგან პირდაპირ წაბრძანდა თეკლათის დედათა-მონასტერში, სადაც ელოდებოდნენ მისს მეუფებას. საღამო ჟამზედ ისევ ახალ-სენაკში დაბრუნდა და სადილი მიირთვა სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ბესარიონ გრიგოლის ძის მხეიძის სასახლეში, რომელსაც მოწვეული ჰყავდა როგორც საპატიო სასულიერო, აგრეთვე საეროინიცა. ღამის 11 საათზედ მისი მეუფება რკინის გზის სადგურზედ მიბრძანდა და გაემგზავრა ტფილისს.

ტელეფონი

## წერილი ფოთიდგან

მას შემდეგ, რაც ნავთ-სადგურის მუშაობას შეუდგნენ ფოთში, ქალაქს ბევრი ხალხი მოაწყდა, ზოგი სამუშაოდ, ზოგი სამოსახლოდ და ბევრი კიდევ იმად, რომ სადმე მსუქან ლუკმას წაავლოს ხელი. დღეს რომ ყველა ფოთის ნახვას გაუტაცნია, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ წელს იავარდით მონაკაზმ „მაისობას" (1 მაისი), აუარებელი სტუმარი ეწვია ფოთს. თითქმის ერთი კვირა იქნებოდა, რაც სამტრედიიდგან მომავალი ფოთის სახალხო მატარებელი აუარებელ მგზავრებს ეზიდებოდა. მართლაც, რომელ მოქეიფესა და ცნობის მოყვარეს არ მიიზიდავს აქაურ წალკოტში დროს გატარება და ბურთი? ან რომელ არშიყს არ შეიპყრობს და არ მოჰხიბლავს სამეგრელოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან ჩამოსული მოკისკისე ცქრიალა ქალიშვილთა ტუჩფა დასი? საათის ორზედ დაიწყო დენა წალკოტისაკენ ქალთა და ვაჟთა მიმავალმა რაზმმა, რადგან ეს დღე პირველი მაისი იყო და ჩვეულებრიკად ბურთი უნდა გავარდნილიყო. ამისათვის მობურთავე გურულები და მეგრელებიც ადრე შეიკრიბნენ, რომ დროზედ გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ბევრს მობურთავეს სათამაშოდ გული ისე უთრთოდა, რომ არ იცოდა რა ექნა, ვიდრე ბურთი გავარდებოდა. რადგან მოთამაშე გურულებს ამ დღეს ილპლად გემი გაუჩნდათ დასატვირთავი, ამისათვის დროზედ საბურთაოდ ვერ გამოცხადდნენ და ბურთის გაგდებამ ცოტა არ იყოს დაიგვიანა. ამ დღისათვის გურულების მისახმარებლად ბ. ნმა ძოსეშვილმა თავისს „არტელში" მომუშავე იმერლებს სადილი გაუმართა, გამოარჩია 70 მობურთავე და პარკში წაასხა. $5\frac{1}{2}$ საათზედ გავარდა ბურთი. მობურთავე გურული მუშები ცოტანი იყვნენ, ასე რომ ბურთს გურულების მხრივ სამოც-და-ათი კაცი იმერელი აჩერებდა გმირულად. იმერელი მუშები შეებრძოლნენ მოწინააღმდეგეთ და ყოჩაღად წაიღეს ბურთი ლელოსკენ. დაინახეს თუ არა ეს მეგრელებმა, შეუტიეს. მართალია, მერე გურული მუშებიც მოვიდნენ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ: „ძალა ღმერთს ხნავსო!" რომ დაატყეს, საქმე ცუდად მიდის და მეგრელები სიმრავლით გვჭარბობენო, იმერლებმა ბურთი გასჭრეს და ლელოზედ მარტო ტყავი გაატანეს გამარჯვებულ მეგრელებს. შემდეგ გამარჯვებულმა მეგრელებმა დაამტვრიეს ხის ტოტები, ასწიეს მაღლა მობურთავე გმირი ბ. გაბელია და სიმღერით შემოატარეს პარკის გარშემო.

ი. იანეთელი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ხვითი,** (გორის მაზრა). დაბა ცხინვალს ქვემოთ, მდ. ლიახვის მარჯვნივ მხრის სოფლები: ზემო და ქვემო ნიქოზი, ზემო და ქვემო ხვითი, ფხვენისი, შინდისი, საქაშეთი და კარაანი განთქმულია მთელ ქართლში კარგის პურით, რაც ბევრიც მოდის და კარგის თვისებისაცაა; ამ სოფლების პური ყოველთვის მეტ ფასად იყიდება. ამ ბოლოს დროს ვენახების გამრავლებას უმეტეს და კარგადაც უვლიან, რის გამო ღვინოც რიგიანი მოსდით. კარგის მოსავლის პირი უჩანს ჭარხალს, ვენახსა და ხეხილს.

წრევანდელმა ზამთარმა ტკბილად გაიარა, ყინვები თითქმის არავის უგრძვნია; გაზაფხულიც საუცხოვოა. ცოტა არ იყოს, აპრილმა წვიმები მოგვიხშირა. ზარად წვიმასა მთაში მოჰქუს თოვლი, ჩვენი ილბუზისა და ჯავახეთის მთები, რომლებს შუა კართ მომწყვდეულნი გამლილ ფართო მინდორზე, შეგვიმოსა, ისევ შემოსილია, თეთრ ზადრში. ამ გარემოებამ ჩაგვაყენა საშიშს მდგომარეობაში ყველანი, ყველა გულის ფანცქალში: აი ეს მოიწმენდს, ღამე როგორმე გამოაგდებს და ამოგვაგდებს, ამათ წავა ყველა ჩვენი ნამუშავარი და დავრჩებით ცალიერზედ. ამ შიშსა და კარამში უნდა ვიყოთ თითქმის თიბათვის პირველ რიცხვებამდე. ჩვენი გლეხი უფრო მაგარია ამ შემთხვევაში, იმას არაფერი აშინებს, გაკერპებულია, ერთგულად გზრძვის მიწას და ღმერთზედ აქვს მინდობილი მოსავალი და მოუსავლობა. მასთანვე ცოტა გულისტკენით უცქერის იგი კარგის პურისა და ღვინის მოსავალს: ნამდვილის სიხარულით ვერ შეჰხარის კარგს მოსავალს, რადგან მისს ნაწვავ-ნაამაგდარს სხვა ეპატრონება, სხვის ჯიბეში ჩადის იგი და თავისის გაჭირვებისთვის ვერა ჰხმარობს.

ჩვენის მხრის ხალხი მეტად დავაღიანებულია. რა-კი ერთხელ და ერთხელ ჩათრეულნი არიან ვალში, განთავისუფლება ძნელდება, ძნელდება, რადგან ფრიად დიდ სარგებელს იხდიან. ქართველი კაცი მდაბიურია, გულ-ჩვილი და მინდობილი: როცა გაჭირვებაშია, ყველაფერზედ გეთანხმება, გემორჩილება, თავის მდგომარეობას აუწონ-დაუწონავად სწონებს, რის გამოც გაჭირვებასა თუ სიხარულში კისერს იტეხს, ძახეში ებმება. დღევანდელი ცხოვრება არა აქვს შეგნებული და მიზეზიც ის არის, რომ მას ყველა ატყუებს და უმნელდება ცხოვრება, რადგან განათლებასა და განვითარებას მოკლებულია. მოწინავე, გულშემატკივარი კაცი თითქმის არ მოეპოვება, გაბრუებული, გაშტერებული იყურება აქეთ-იქით, ეძებს კიდესაც და რაღასაც, მაგრამ „არსით ხმა, არსით ძახილი"...

ხვითელი

# რუსეთი

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მოსკოვში აზრადა აქვთ დააარსონ დედათა უმაღლესი კურსები. პროექტი ამ კურსებისა ახლა მომავალ ში წარედგინება სახელმწიფო საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. პროექტით კურსებს ორი განყოფილება ექნება: საისტორიო-საფილოლოგიო და საფიზიკო-მათემატიკო. კურსების საერთო საქმე უნდა გაიგოს განსაკუთრებულმა საბჭომ. სწავლის ვადა ოთხი წელიწადი იქნება. კურსების დაარსებას აპირებენ ამა წლის სექტემბრიდგან. უკვე გახუთოსავთ მოსკოვში განსაკუთრებულის საზოგადოების დაარსება, რომელიც დახმარებას და შემწეობას უნდა აძლევდეს კურსების ღარიბ და შეუძლებელ მოსწავლე ქალებს.

— როგორც გაზეთი „პეტერ. ვედ."-ი იუწყება, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვთ დააარსონ წელს ციმბირში, კრასნოიარსკის მახლობლად სატყეო სკოლა. ასეთი სკოლა რუსეთში დღეს სულ ოთხია და ეს მეხუთე იქნება.

— „Гражд."-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ შეიწყნარა თავად-აზნაურთა მიერ შემუშავებული პროექტი თავად-აზნაურთა იმ შვილებისათვის, რომელნიც გიმნაზიებში სწავლობენ, ალ'აზრდ(?)ლ პანსიონების დაარსების შესახებ.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, აზრადა აქვთ პეტერბურგის ქალაქის გამგეობა სამართალში მისცენ. მიზეზი ამისა ის არის თურმე, რომ პეტერბურგში ერთი ხიდი ჩანგრეულა, რომელიც გამგეობის განკარგულებით იყო აგებული.

— სახელმწიფო საბჭოს წარედგინა ახალი კანონ-პროექტი საპენსიო კასსებისა საეროზო და ქალაქის დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის. პროექტით განზრახული საპენსიო კასსა დიდად განსხვავდება დღემდის არსებულ კასსებისაგან.

# უცხოეთი

**ჩინეთი.** ჩინეთის მთავრობა ძლიერ შეუშინებია იმ გარემოებას, რომ მაჰმადიანთა ამბოხება განსუსა, შენზისა და ჩინეთის თურქესტანში თანდათან მატულობს. მეამბოხეთ აღუმართავთ მწვანე ბაირაღი და ერთმანეთს იწვევენ საბრძოლველად ურჯულოთა წინააღმდეგ. ამბოხება პირველად დაიწყო განსუს პროვინციაში, სადაც მაჰმადიანები განთქმულნი არიან თავისის ფანატიკოსობით; მეამბოხეთ ხელმძღვანელობს ვიღაც ერთი მოლა, რომელიც დიდი მტერია ბუდისტებისა. ჩინეთის თურქესტანის გუბერნატორს თხოვნით მიუმართავს პეკინში — დაუყოვნებლივ ჯარები მომაშველეთო, რადგან მეამბოხენი ურუმცის ქალაქს მიუახლოვდნენ, და აგრეთვე ხმა გავრცელდა, რომ კაშგარამდეც აჯანყდნენ მაჰმადიანებიო.

მეამბოხეთ, სხვათა შორის, დაუხოცნიათ ბუდისტების 30 ჟრეცი. განსუს გუბერნატორი განსაკუთრებით თხოულობს თურმე, რომ ჩქარა მოაშველონ ჯარები, რადგან საუკეთესო ჯარები ჩრდილო ჩინეთიდგან პეკინში დაიბარეს იმისდა მიუხედავად, რომ მარტო იმათი შიში იმორჩილებდა ადგილობრივ მკვიდრთ, რომელნიც ზიზღის თვალით უცქერიან თურმე ჩინელებს. თუ ჩემი თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნა, გუბერნატორი ამბობს, რომ პასუხის მგებელი აღარაფერში ვიქნებიო. ამ ხმებს კიდევ უფრო შეუძრწუნებია პეკინის მთავრობა. საუკეთესო ჯარები დედოფალს დაუბარებია თავისთან და არ უშვებს იმათ, რადგან ის აღარავის ენდობა თურმე. ახლანდელი ამბოხება მაჰმადიანებისა ბევრად უფრო საშიშრად მიაჩნიათ ჩინეთისათვის, ვიდრე სამხრეთ ჩინეთში [illegible] მომხდარი ამბოხება ამ უკანასკნელ დროს.

**ავსტრია.** ერთმა მოულოდნელმა ამბავმა ძლიერ შეაშფოთა ავსტრიის სამხედრო მთავრობა. ამას წინად ფელიქსდორფში გამოსცადეს ახალი მსწრაფლ მსროლელი ზარბაზანი, რომელიც ძლიერ კარგი გამოდგა. ამიტომ მთავრობამ გარდასწყვიტა ასეთის ზარბაზნის თანდათან შემოღება ავსტრო-უნგრეთის არტილერიაში, რაიცა 40 მილიონი გულდენი დაჯდებოდა. ამ დღეებში ის ზარბაზანი ვენის არსენალში უნდა გაეგზავნათ შესაკეთებლად. გაგზავნის წინად ზარბაზანი დაშალეს, სხვა და სხვა ყუთებში ჩააწყეს და რკინის გზის სადგურ ლეობესდორფში მისცეს, როგორც უბრალო საქონელი, ვენაში გასაგზავნად. არსენალში გასინჯვის დროს ზარბაზნის ერთი უმთავრესი ნაწილი, სახელდობრ დასაკეტი, რომლითაც ამ ახალ ზარბაზნის მთელი საიდუმლოების გაგება შეიძლება, აღარ აღმოჩნდა. მაშინვე ფიცხელი გამომძიება დანიშნა მთავრობამ იმის გასაგებად, თუ სად, როდის და ვინ მოიპარა ეს ნივთი. გამომძიებამ ვერაფერი აღმოაჩინა; ხოლო ის-კი დამტკიცდა, რომ შემთხვევით არსად არ დაკარგულა იგი და არც სხვაგან სადმე გაუგზავნიათ შეცდომით. ეხლა ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ახალ გამოგონილ ზარბაზნის საიდუმლოება უთუოდ გაუყიდულია სხვა სახელმწიფოზედ.

**ჩერნოგორია.** ჩერნოგორიის ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი დანიელი დაინიშნა ჰერცოგის ქალზედ, იუტტა მეკლენბურგ-სტრელიცკისაზედ. იუტტა ლიუტერის სარწმუნოებისა არის და საქმროს უთხოვნია, მართლ-მადიდებლობა მიიღეო. ის დათანხმებულა და მამასათვის რომ განუცხადებია თავისი სურვილი, არც იმას დაუშლია. ამბობენ, რომ მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას ბერლინში მიიღებს იუტტაო, ხოლო ქორწინება ცეტინიეს მოხდება და არა ბერლინში, როგორც აქამდე ლაპარაკობდნენო.

**ფილიპინები.** გაზეთების სიტყვით, შეერთებულ შტატების მთავრობის მიერ გამოგზავნილს კომისიას ფილიპპის არხიპელაგზე აი ასე სურს მოეწყოს ამ ქვეყნის მართვა გამგეობის საქმე: ადგილობრივ მკვიდრთაგან პარლამენტი უნდა არსებობდეს, როგორც კანონმდებლობითი დაწესებულება; საპარლამენტო არჩევნებში ყველას უნდა მიეცეს ხმის უფლება, ვინც წერა კითხვა იცის, ანუ რისიმე მქონებელია. სამინისტრო უნდა შესდგეს ადგილობრივ მკვიდრთა და ამერიკელებისაგან; სამინისტრო პასუხის მგებელი იქნება პარლამენტის წინაშე. ამერიკის წარმომადგენლად იქნება გენერალ გუბერნატორი, რომელიც შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს. გენერალ-გუბერნატორს უფლება ექნება მინიჭებული შეაჩეროს პარლამენტის ისეთი გარდაწყვეტილება, რომელსაც შეეძლება არხიპელაგისა და შეერთებულ შტატების ერთმანეთთან დამოკიდებულების შერყევა. მოსამართლეებად ტაგალები დაინიშნებიან, რომელთა მოქმედებას ამერიკელებმა უნდა ადევნონ თვალ-ყური.

## სასამართლოს მატიანე

თავ. ილია დიმიტრის ძის ხიდირბეგოვის საქმე.

სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსმა დავით მიხეილის ძე ლოგაძემ მოახსენა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს, რომ იმ სახლების პატრონი, რომელშიაც ჩემდამო რწმუნებული კანტორა არის მოთავსებული, თავ. ხიდირბეგოვი, პირობას არ ასრულებს და შენობას რემონტს არ უკეთებსო. თავ. ხიდირბეგოვი კი ამეზ-

ღებდა ლოგაძეს უფროსთან,—უდიერად მომეპყრაო. ამ საქმის გამოსაძიებლად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა 19 დეკემბერს 1898 წელს გაჰგზავნა სურამში თავისი თანაშემწე ბ-ნი ნიკოლოზ იერემიას ძე კოვალსკი. როდესაც თავ. ხიდირბეგოვი უამბობდა ბ-ნ კოვალსკის მისსა და ლოგაძის შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ, სხვათა შორის, უთხრა: ლოგაძემ ოცი თუმანი აიღო ქრთამად აბრამიშვილისაგან და დაჰპირდა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას შენს სახლებში გადმოვიტანო. ამ დროს ბ-ნ კოვალსკისთან ერთად ოთახში იყვნენ თვით ლოგაძე და ალექსანდრე მათეს ძე ბებურიშვილი. ხიდირბეგოვმა ბოლოს უთხრა ბ-ნ კოვალსკის: „მოგვაშორეთ თავიდგან ეს ლოგაძე, მაგის სახის დანახვაც კი ზიზღსა მგვრისო“...

საქმის გარჩევის დროს თავადმა ხიდირბეგოვმა დამნაშავეთ არ იცნო თავისი თავი, და ყველა თვისი ნალაპარაკები უარ-ჰყო. მე არ მითქვამს ბ-ნ კოვალსკისათვის—ლოგაძემ ოცი თუმანი აიღო ქრთამადა და თუმცა კი ვსთხოვე ლოგაძე ოთახიდგან დაეთხოვნა, მაგრამ სიტყვიერი შეურაცხყოფა კი არ მიმიყენებია ლოგაძისათვისო.

ეს საქმე გაარჩია ქ. გორში 30 აპრილს ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო თავ. ხიდირბეგოვი და ორი კვირით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

---

## დამაკვირდი

არას გვარგებს მორჭმულობა,
რა განგებით ეტლი მოვა.

* * *

გაეც, რაცა გაქვს მოგებულია,
ობოლი, ქვრივი, გლახაკი
გამდიდრდეს, დავრდომილია;
წყარო და ხიდი აშენე,
სადაცა დარღვეულია.

როსტომიანი

* * *

პირი მისი იყო სახლ ცრუ-ფიცობისა და აწ მკვნესარ და მხვეშებარ არიედ.

სულხან საბა

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ახალ ზელანდიის მახლობლად მდებარეობს ერთი კუნძული აუკლენდი. კუნძული თუმცა მჭიდროდ არის დასახლებული, მაგრამ დანარჩენ ქვეყანას თითქმის მოწყვეტილია: ამ კუნძულსა და სხვა კუნძულებს შორის წესიერი მიმოსვლა არ არსებობს, ამიტომ მცხოვრებლები არასოდეს ფოსტას თავისს დროზედ არ იღებენ. ამის გამო ეხლა იქ აზრადა აქვთ მტრედების ფოსტა გამართონ. ეს ფოსტა თვეში ორჯელ ივლის აუკლენდსა და სხვა კუნძულებს შორის. ფოსტით გაგზავნილი წერილები განსაკუთრებულ ქაღალდზედ უნდა დაიწეროს. მარკასაც განსაკუთრებულს გამოიგონებენ. მარკაზედ გამოხატული იქმნება ფრთებ გაშლილი მტრედი.

* * *

როგორც ვუწყით, ამერიკისა და ესპანიის წარმომადგენლებმა უკვე მოაწერეს ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებას. ამერიკელებს აზრადა აქვთ ეს ამბავი იდღესასწაულონ. დღესასწაულები გამართული იქმნება შეერთებულ შტატების სატახტო ქალაქ ვაშინგტონში 11, 12 და 13 მაისს. ქალაქი პირველ დღიდგანვე მორთული იქმნება ყვავილებითა, ხვეულებითა და ბაირაღებით. დღესასწაულებში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრები, წარჩინებულნი კაცნი და ჯარი. საყურადღებოა ის ნაწილი დღესასწაულებისა, სადაც წარმოდგენილი იქმნება ომები, რომლებშიაც შეერთებულ შტატებს მონაწილეობა მიუღია: დამოუკიდებლობისათვის ომი, ინგლისთან ომი 1812—15 წლ., სამოქალაქო ომი და დასასრულ ესპანია-ამერიკის ომი. ამ ომების წარმოდგენის დროს ჯარი იმ ტანისამოსში იქმნება გამოწყობილი, რაც ნამდვილად იმ დროს ეცვათ. გამოყვანილი იქმნებიან აგრეთვე მამაცი გმირები, როგორც, მაგალითად, გენერ. ვაშინგტონი თავისის გენერლებით, ანდრიუ ჯაკსონი, სამოქალაქო ომის და ესპანია ამერიკის ომის გმირები. დღესასწაულები ბალ-მასკარადით დამთავრდება.

* * *

მოგეხსენებათ, ამ ბოლოს დროს დუელი ქალებს შორისაც გახშირდა. სხვათა შორის ერთი ასეთი დუელი ამას წინად პარიჟში მომხდარა. რამდენისამე ხნის წინად პარიჟში დასახლებულა ერთი ამერიკელი ქალი. ქალს სილამაზის მეტი არაფარი გააჩნდა და თავს მხოლოდ მასწავლებლობით ირჩენდა. პარიჟში გაუცვნია ერთი ახალგაზრდა, მდიდარი აფიცერი. არ გასულა ბევრი ხანი, რომ აფიცერს გამოუცხადებია ქალისათვის, ცოლად გამომყევიო. ქალი დათანხმებულა, თანახმა გამხდარან აგრეთვე აფიცრის დედ-მამაც. მხოლოდ ერთ ლამაზ ქვრივს, გრაფინია ნ. არ მოსწონებია ახალგაზრდათა განზრახვა. ამ გრაფინიას თვითონ უნდოდა თურმე მისთხოვებოდა აფიცერს. ერთხელ მეტოქენი ერთმანეთს შეხვდნენ ნაცნობთან. გრაფინიას ვეღარ მოუთმენია და დანიშნულისათვის რაღაც საწყენი სიტყვა უთქვამს. მეორე დღესვე ამერიკელ ქალს სეკუნდანტები გაუგზავნია და გრაფინია დუელში გამოუწვევია. გაზეთების სიტყვით, დუელი რევოლვერებით მომხდარა. საბედნიეროდ მოწინააღმდეგენი მშვიდობით გადარჩენილან: ორივეს აუცდენია ტყვია. ამ დუელის შესახებ დღეს ბევრი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკია თურმე პარიჟის უმაღლესს საზოგადოებაში.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მაისი

**ხარკოვი.** წერა-კითხვის საზოგადოებამ გარდასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს სახალხო სახლის აშენებას, რისთვისაც გამიანგარიშებულია 130,000 მანეთი.

**სოფია.** იმისდა მიუხედავად, რომ დრაგომან ცანკოვის სიკვდილის შესახებ გავრცელებული ხმები უარყოფილ იქმნა, რუსეთის გაზეთები მაინც ლაპარაკობენ იმის სიკვდილზედ. „ბოლგარიის სააგენტო“ აცხადებს, რომ ცანკოვის სიკვდილის შესახებ ხმები სიმართლეს მოკლებულიაო.

4 მაისი

**პეტერბურგი.** საიმპერატორო სამეცნიერო აკადემია სთხოვს ყველა იმათ, ვისაც კი სურს პუშკინის ძეგლის აგებას დაეხმაროს, რომ თავისი შემოწირულებანი გაჰგზავნოს აკადემიის ეკზეკუტორისა და ხაზინადრის სახელობაზე: პეტერბურგი, ვასილევსკის კუნძული სახლი სამეცნიერო აკადემიისა.

**ტიუმენი.** ტობოლსკი დაიწვა ქალაქის ერთი ნაწილი, რომელსაც „Абрамовская стрѣлка“ ერქვა. გადაიწვა აგრეთვე რამდენიმე ნავი. ზარალი ერთ მილიონამდეა.

**პარიჟი.** „Univers“ იუწყება, ჩინეთის იმპერატორი მთელს იმპერიაში კათოლიკეთა სარწმუნოების გავრცელებას მხარს უჭერს, რისთვისაც ყველა მისიონერებს უმოწყალესად ოფიციალურ მდგომარეობას ანიჭებსო.

**პარიჟი.** გარდაიცვალა ფრანცისკ სერსე.

**პარიჟი.** თუმცა დეპუტატთა დიდი წინააღმდეგი იყო, მაგრამ სენატმა—196 ხმის უმეტესობით 55—წინააღმდეგ—მაინც მიიღო ის წინადადება, რომელიც თხოულობდა მუშათა უბედურ შემთხვევათა შესახების წესდების მიუღებლობას. ეს წესდება უნდა დაკანონებულიყო ივნისის 1 ამავე წესდების წინააღმდეგი მრავალი ფაბრიკანტიც იყო.

**ჰააგა.** კარდინალის რამპოლლას მიწერილობისამებრ პაპის აქაურმა ინტერნუნციომ (აგენტი) თავისს თანამდებობას თავი დაანება და ლიუკსენბურგში წავიდა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

1892 წელს, როცა გურიაში წიგნთსაცავ-სამკითხველო ახალი ხილი იყო და მისის დაარსების ნებართვის აღება გაძნელდა, მე ამ საქმის მეთაურობა ვიკისრე, ნებართვა ვითხოვე, რომ გამეხსნა სოფელ აკეთში „გურიის სახალხო უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო“. ნებართვა მივიღე, შენობა სამკითხველოსთვის საკუთარი შევიძინეთ, მოვრთეთ საჭირო ავეჯით, წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით. ყოველივე ეს შევასრულეთ სხვა-და-სხვა კაცთა-მიერ შემოწირულ ფულებით და საწევრო გარდასახადებით. საქმეც ჩინებულად მიდიოდა, რადგან მაშინ ეს ერთად-ერთი სამკითხველო იყო მთელს გურიაში, და მთელი გურია ნივთიერს შემწეობას უჩენდა, აქვე იყო მაშინ ერთი მეთაურთაგანი სამკითხველოს დაარსებისა, აკეთის სოფლის მასწავლებელი ბ-ნი არსენ წითლიძე, რომელიც სცხოვრობდა შიგ სამკითხველოს ოთახში და მოვლა-პატრონობას არ ულევდა. მართალია, ნებართვა ჩემს სახელზედ იყო, მაგრამ მოვლით კი ყველა შეძლებისამებრ უვლიდით და მეტადრე ბ-ნი წითლიძე. ორის წლის შემდეგ სამკითხველო სხვა სოფლებმაც დაიარსა და ამით ნივთიერად შემწეობა დააკლდა აკეთის სამკითხველოს. დავინახე, რომ სამკითხველოს საქმე კარგად ვეღარ მოდიოდა, რადგან არც ქონებრივად და არც ზნეობრივად შემწეობას აღარავინ აძლევდა. მოვახდინე კრება და ვთხოვე საზოგადოებას აღმოეჩინა დახმარება ნივთიერად და მასთან დაენიშნათ ჩემს გარდა კიდევ მომვლელები. აღმითქვეს შემწეობა და მოვლა-პატრონობა მიანდეს მღვდელს ლავრენტი წულაძეს და მასწავლებელს ა. გეგეჭკორს, რადგან წითლიძე უკვე გადაყვანილ იყო მთავრობის მიერ სხვაგან. ვგონებ, თვითონაც დამემოწმება, რომ მამა ლ. წულაძემ სრულიად აღარ ინება ყურადღების მიქცევა სამკითხველოსათვის. პასუხად ამას ბრძანებდა, რომ შემოსავალი არაფერი ჰქონია და როგორ შემიძლიან მოვლა-პატრონობაო. ბ-ნმა გეგეჭკორმა გაიჩინა სხვა-და-სხვა შორეულ სოფლებში აგენტები და უგზავნიდა ოცობით და ორმოცობით წიგნებს. რადგან წიგნები უგირაოდ იყო გაცემული, ბევრმა ბოროტად მოიხმარა საზოგადო ქონება და არ ინება წიგნების დაბრუნება უკან, რის გამოც ბევრი კარგი წიგნი მოაკლდა სამკითხველოს. მრავალი საშუალება ვიხმარეთ, მაგრამ წიგნები მაინც არავინ დააბრუნა. თან მასწავლებელს გეგეჭკორს დრო არა ჰქონდა სამკითხველოს მოვლა-პატრონობისა, მაგალითად, ზაფხულში ორ-სამ თვეობით უპატრონოდ სტოვებდა, უქმე დღეებში თავისუფლება მინდაო, ამბობდა, საქმე დღეს ხომ მესამე-მეოთხე საათამდე ბავშვების სწავლას უნდებოდა და მე-კი ყოველ დღეს არ შემეძლო დამეთვალიერებინა, რადგან ძალიან აღმართი და ცუდი გზა იყო სამკითხველომდის. ამიტომ განვიზრახე სამკითხველოს სკოლის ეზოდგან გადმოტანა და დადგმა სოფლის სამმართველოსთან. ამის ნება კიდეც მივიღე.

წარსულის წლის დეკემბერში ჩემი განზრახვა უკვე შევასრულე. რასაკვირველია, ყველა საქმეს თავისი მომხმარე ჰყავს, აქაც გაჩნდნენ მოწინააღმდეგენი, რომელთაც ან პირადი რამ უსიამოვნობა ალაპარაკებს ან ის, რომ მათ სამკითხველო ახლოს ჰქონდათ, და ჯავრს იმითი ყრილობენ, რომ რაღაც ჭორებს სთხზავენ და იმით გაზეთის ფურცლებს ავსებენ. ამბობენ, სამკითხველოს უკან წასვლის მიზეზი ვითომც სკოლიდგან გადატანის ბრალი იყოს და სხვა. დასამტკიცებლად იხილეთ „ცნობის ფურცლის“ №№ 777 და 783. ყოველივე ამ მითქმა-მოთქმის მოსაშორებლად უკანასკნელად ერთს საშუალებას მივმართავ: აგერ 8 წელიწადი სრულდება, რაც შემეძლო ვემსახურე ამ კეთილ საქმეს, არ დამიკლია არც ქონებრივი და არც ზნეობრივი დახმარება. დღეს ბევრი მოიძებნება აკეთში ისეთი, რომელსაც შეუძლიან უფრო კარგად წაუძღვეს ამ საქმეს და კიდევ ბევრიც იჩენს გულშემატკივრობას ამ საქმეში. ამასთან მეც ხშირათ არა ვარ აკეთში სხვა და სხვა მიზეზისა გამო, ამისათვის ვსთხოვ უმორჩილესად ჩემის მხრივ ამ საქმის დამწყეთ—ბ-ნ ისიდორე რამიშვილს, სილიბისტრო ჯიბლაძეს და არსენ წითლიძეს, ხოლო მოწინააღმდეგეთ ვინცა სურთ, ის მოიწოდონ, დანიშონ კრება და აღირჩიონ ჩემი სამაგიერო კაცი და მიიღონ ჩემგან ყოველი ანგარიში, განიხილონ აგრეთვე, ჩემგან სამკითხველოს რა მოჰკლებია, ანუ რა მოემატა, თუ სხვამ რამე მოაკლო ან დაუკარგა, ესეც იცოდეს საზოგადოებამ და ნუ დაიფარება, ვისაც რა ღვაწლი მიუძღვის. ამასთან კვლავ ვიმეორებ, ვისაც ამ სამკითხველოს გაქრობა არა სურს იზრუნოს, რომ ამიერიდგან უკეთესი გამგე მოსძებნოს, რომელიც ჩემზედ მეტს ღვაწლს დასდებს, ხოლო მე ვიქნები მისი უმორჩილესი მონა და შემწე ყველაფერში.

აგრეთვე განსახილველია ის საგანი, რომ აკეთიდგან სამკითხველო გადატანილ იქმნას ლანჩხუთიდან ნაგომარზედ. საზოგადო კრებამ ეს საგანიც უნდა განიხილოს. ვთხოვ კრებას, ზემოთ დასახელებულ სამის კაცის მონაწილეობით განიხილოს და გაზეთით გამოაცხადოს—რამდენად სამართლიანია სამდურავი და ჩემზედ იერიშის მოტანა. იმედია, ყოველივე ადრე მოხდება და მით შეძლებას მომცემენ პირ-ნათლად ვიყო საზოგადოების წინაშე.

აკეთის სამკითხველოს დამაარსებელთაგანი
და გამგე ჯამულეთ ბაქუნაიშვილი

---

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო 1899 წლის აპრილის თვის განმავლობაში:

1) საწევრო ფული:

ა) დამფუძნებელის წევრის ნიკოლოზ ბესარიონის ძე დოლობერიძისაგან . . . . მან. 20

ბ) ნამდვილის წევრების:

| | |
|---|---|
| 1) ლუარსაბ მერაბის ძე ბედეგანოვისაგან . . . | 6 |
| „ „ წინანდელის წლისა | 4 |
| 2) დეკან. ივანე ლომაურისაგან 1896, 1897 და 1898 წ. | 18 |
| 3) ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძისაგან . . . . | 6 |
| სულ . | 54 |

2) შემოწირულობა ფულად ლუკა ჯავახიშვილისაგან 28 მარტს თიანეთში გამართულის წარმოდგენიდგან . . . . . 70

3) შემოწირულება წიგნებად და ძველ ფულად

1, გრიგოლ იასილაშვილმა—ერთი ქართული ძველი ვერცხლის ფული.

2, თამარ გრიგოლის ასულმა ყიფშიძემ—ერთი ძველი სპილენძის ფული, ერთს მხარეზე კაცის თავია დახატული, მეორე მხარეზე წმ. გიორგი ვეშაპთან მებრძოლი.

3, კოსტა ფანჩუნიამ—შვიდი ვერცხლის ძველი ფული და ორი სპილენძისა.

4, გნ. მარიამ დავითის ასულმა ჯავახიშვილისამ—ორი ხელთ-ნაწერი.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

---

# განცხადებანი

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ ვენახის წამლობისათვის სხვა-და სხვა ნივთიერება და იარაღები ისყიდება შემდეგ ფასებში.

ტფილისში—შაბიამანი 4 მან. 10 კ. ფუთი. გოგირდი 1 მ. 90 კ. ფ. პულვერიზატორი ვერმორელისა 12 მ. 50 კ. ტორპილი ვერმორელისა 9 მ. საბერველი ლიავლეზისა 1 მან. 80 კ. პარიჟის ბალახი 40 კ. გირვ.

თელავისა და სიღნაღის საწყობებში ისყიდება:

შაბიამანი 4 მ. და 50 ფუთი, გოგირდი—2 მ. 20 კ. ფ. პულვერიზატორი ვერმორელისა 12 მ. 75 კ. ტორპილი ვერმორელისა 9 მ. 50 კ.

(3—6.—3)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ტფილისში, კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ დამტკიცებულ ცხენის იარმუკათა დებულების თანახმად, ამა წლის 5 **მაისიდგან** გამართული იქმნება

**ცხენის იარმუკა,**

რომელიც 18 **მაისამდე** გასტანს. ადგილი ამ იარმუკას დაეთმო დიდუბეში, იქ, სადაც მარულა იმართება ხოლმე. (3—6—2)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ჟამად თავისუფალია ერთი სტიპენდია გრაფის ლორის-მელიქოვის სახელობისა. ამ სტიპენდიით, დებულების თანახმად, შეუძლიან ისარგებლოს იმ ხელ-მოკლე სტუდენტმა, რომელსაც კარგადა აქვს დამთავრებული ტფილისის ერთ-ერთი გიმნაზია და რომელიც ტფილისის მკვიდრია. განცხადება საბუთის ქაღალდებით ამ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ მიიღება ამა 1899 წლის 1 აგვისტომდე.

(3—6.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Мая 1899 г. სტამბა ძ. ძარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე